მცველები იბნევიან...

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 23 აგვისტო.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) – “დინამო” (თბილისი) 2:0 (1:0).

“ჩერნომორეცი”: იარჩუკი, ლისენკო, ცუნინი, პოპიჩკო, სირომიატნიკოვი, ზუბკოვი, მიროშინი, დერეაბინი, სეკეჩი, ზვენიგოროდსკი (მოსკალენკო), საკი.

“დინამო”: ურუშაძე (კოტრიკაძე), პეტრიაშვილი ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხურცილავა, იამანიძე (გიორგაძე), ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, დათუნაშვილი.

მსაჯი ა. მენშიკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 1:1.

მატჩი ორმხრივი იერიშებით დაიწყო და პირველი სახიფათო მომენტი უკვე მე-8 წუთზე შეიქმნა: ზვენიგოროდსკიმ გონებამახვილურად დაუტოვა ბურთი სეკეჩს, რომელმაც უძლიერესი დარტყმით ურუშაძე თამაშში ჩააბა. ერთი წუთის შემდეგ, კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ოდესელთა კარი, მაგრამ ხურცილავას დარტყმა ცოტათი აცდა მიზანს.

თბილისელებმა დაცვის პერსონალურ პრინციპს მიმართეს. ცხოვრებოვი დარაჯობდა სეკეჩს, პეტრიაშვილი _ საკს, ხოლო ცენტრალურ მცველთა დუეტი _ ზვენიგორდსკის. და უნდა ითქვას, რომ პერსონალური მეურვეობის მეთოდმა პირველ ტაიმში ნაყოფი გამოიღო, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ცხოვრებოვისა და მისი პარტნიორების მიერ მე-15 წუთზე დაშვებულ ერთადერთ შეცდომას, რომელიც კარგად გამოიყენა სეკეჩმა: იგი ურუშაძის პირისპირ აღმოჩნდა და გახსნა კიდეც ანგარიში.

შესვენებამდე სტუმრებმა ვერ გამოიყენეს გოლის გატანის რამდენიმე ნაღდი შანსი. მაგალითად, ტაიმის მიწურულში მეტრეველმა მოხდენილად ჩამოიტოვა ორი მცველი, მეკარე და ზუსტად გაარტყა ცარიელ კარში. ეს იყო, ნელა დაარტყა: ბოლო მომენტში ბურთს მიუსწრო ლისენკომ და იგი პირით ხაზს იქით გაგზავნა.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა გააძლიერეს იერიში. მასპინძლები მეტწილად თავს იცავდნენ და სწორედ მაშინ, როცა ამას არავინ ელოდა, თბილისელთა კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა: ზვენიგოროდსკიმ გამოიყენა მცველთა წამიერი დაბნეულობა. ეს მოხდა 70-ე წუთზე.

ცხადია, “ჩერნომორეცმა” დარჩენილი დრო მთლიანად დაცვაში გაატარა. ოდესელთა მწვრთნელმა ყველაზე აქტიური თავდამსხმელი ზვენიგოროდსკიც კი შეცვალა ნახევარმცველით. ოდესელთა ყრუ დაცვა დაუძლეველი გამოდგა _ დინამოელთა გააფთრებულ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია.

(ტელეფონით, ჩვენ კორ.).
“ლელო”, 24 აგვისტო, 1967 წ.